ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9726182001
თარიღი:01/07/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი N-11 სხდომის

ოქმი

დ. ლენტეხი. 18 ივნისი 2026წ.

მიმდინარე წლის 18 ივნისს დღის 11 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18(თვრამეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 5(ხუთი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, კულტურის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანი, /ა(ა)ი.პირის ტურიზმის განვითარების ცენტრის დრექტორის მოადგილე ბაქარი ლიპარტელიანი, ა(ა)ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და ყოლის წესის შემუშავება.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ,,ოლიმპიური მომზადების ცენტრის"-თვის სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

4. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისათვის ს/კ 434066020 ლენტეხის გურამ გუგავას სახელობის საჭიდაო დარბაზის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაცემაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

5. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანი/

6.ა(ა)ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

/)ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი/ა(ა

7. ა(ა)ი.პირის ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/ ა(ა)ი.პ ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მ/შ ბესო გაზდელიანი/

8.ა(ა)ი.პირის ტურიზმის განვითარების ცენტრის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/ა(ა)ი.პირის ტურიზმის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი ბესო ჩანქსელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით დამატებითი კომენტირება გააკეთა მომხსენებელმა, რომ ბიუროზე დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შემდეგ, მერიიდან დამატებით შემოვიდა საკითხები, რომელთა დამატება აუცილებელია საქმიდან გამომდინარე. ეს საკითხებია:

1. **ა(ა)ი.პირის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2026 წლის გეგმა-პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

   /მომხს: გაერთიანების დირექტორი ლამზირა გუგავა/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;**

   /მომხს: მერიის კულტურის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი/

3. **ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე.**

   /მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი დემური ლიპარტელიანი/

წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი დამატებული საკითხების გათვალისწინებით.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში - **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აზრი გამოთქვა; სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა - ხათუნა ლიპარტელიანი აქტიურად იყო ჩართული მოსახლეობასთან შეხვედრებში,მან მოსახლეობას მიაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია მისი სამსახურის ფუნქციების და პროგრამების შესახებ. დღესაც წარმოადგინა ამომწურავი ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა საკრებულოს წევრმა მურმან ტვილდიანმა - აღნიშნული სამსახური ნამდვილად იმსახურებს დადებით შეფასებას გაწეული მუშაობისთვის. მაქვს კითხვა, რატომ არ გაიხსნა დიალიზის ცენტრი ლენტეხში და რატომ უწევთ სიარული ავადმყოფების ცაგერში.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს დამოკიდებულია პაციენტების რიცხოვნობაზე.

შეკითხვა დასვა სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა - უნდა

ამოქმედდეს პერსონალური ასისტენტის პროგრამა და მაინტერესებს თუ გაიზრდება ასისტენთთა რაოდენობა.პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი არ აქვთ.

დათო ფურელიანი - საქველმოქმედო ფონდიდან თუ ხდება დახმარების გაცემა თქვენი სამსახურის რეკომენდაციით.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რათქმა უნდა უწევენ რეკომენდაციას ბენეფიციარებს მათი მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა - ქალბატონი ხათუნა ლიპარტელიანი აქტიურად იყო ჩართული მოსახლეობასთან შეხვედრებში თემების მიხედვით და დღევანდელი ანგარიშიც საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ წარმოადგინა.

მან კენჭისყრაზე დააყენა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის დადებითად შეფასება.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნა შეფასებული მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და ყოლის წესის შემუშავებაზე.**

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით იყო შეკითხვები. მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და ყოლის წესის დამტკიცებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და ყოლის წესის დამტკიცებაზე

3. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ,,ოლიმპიური მომზადების ცენტრის"-თვის სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯის დამტკიცების შესახებ.**

აზრი გამოთქვეს მურმან ტვილდიანმა და ელდარი ლიპარტელიანმა: მიუღებელია ის მცირე თანხა სპორტსმენებისთვის, რაც იყო დღემდე. აუცილებლად უნდა გაიზარდოს ეს თანხა და მინიმუმ 20 ლარი მაინც უნდა იყოს კვების ხარჯი. საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი -

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს:დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ,,ოლიმპიური მომზადების ცენტრის"-თვის სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

4.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა

ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისათვის ს/კ 434066020 ლენტეხის გურამ გუგავას სახელობის საჭიდაო დარბაზის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაცემაზე.**

შენიშვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი -

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისათვის ს/კ 434066020 ლენტეხის გურამ გუგავას სახელობის საჭიდაო დარბაზის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაცემაზე.

5.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ დემური ლიპარტელიანმა წარმოადგინა ანგარიში - **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის N-102 განკარგულების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 388872 ლარი. წარმოდგენილია სატენდეროდ გადაცემული პროექტები

საქართველოს მთავრობის 2026წ. 2 მარტის N-476 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყო 962539 ლარი. წარმოგიდგენთ დაფინანსებულ ობიექტებს დანართის სახით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის შესაბამისად, ასევე საჭიროებიდან და ძოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფრასტრუქტურის და არქიტქტურის სამსახურის მიერ შესწავლილ და შედგენილ იქნა შესაბამისი დეფექტური აქტები. გადაცემული იქნა შესყიდვების განყოფილებაზე წინადადება საპროექტო დოკუმენტაციის დამზადებისათვის 30 ობიექტზე .

2026წ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შედგა დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

მიმდინარე წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში შესასწავლად და სხვადასხვა უწყებებში შუამდგომლობისათვის შემოვიდა როგორც მოსახლეობიდან ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 450 წერილი და განცხადება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა შემოსულ კორესპოტენციაზე გავეცით პასუხი.

ანგარიშთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარი გააკეთა მერის მოადგილემ ლევანი ლიპარტელიანმა - რაც სარჯთაა ღრიცხვებია გაკეთებული 1 ივნისამდე, უნდა შევცვალოთ, უნდა მოხდეს გადაფასება.მაგალითად სასამის პროექტი გადაფასდა დ გაიზარდა 110000ლარით.

კახა ლიპარტელიანი - სოფ. ხოფურში თუ არის გათვლილი დამხმარე შენობის გაკეტება.

პასაუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გათვლილია დამხმარე შენობის გაკეთებაც და რცხმელურში ხიდის გაკეთება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის დადებითად შეფასებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: ა(ა) ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ბესო გაზდელიანმა წარმოადგინა **ა(ა)ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;**

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა მიღწეულ შედეგებზე, ჩატარებულ ღონისძიებებზე.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა - აიპი მუშაობს ნაყოფიერად და აქვს საკმაოდ წარმატებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ანგარიშის დადებითად შეფასებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

7.მოისმინეს: ა(ა)ი.პ ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა მ/შ ბესო გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ა(ა)ი.პ ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის ანგარიში **2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ანგარიშის დადებითად შეფასებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)ი.პ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

8. ა(ა)ი.პირის ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილემ ბაქარი ლიპარტელიანმა წარმოადგინა **ა(ა)ი.პირის ტურიზმის განვითარების ცენტრის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ამგარიშის ბოლოს მან დააფიქსირა თხოვნა აიპისთვის ოფისის გამოყოფაზე და მჟავე წყლის ტერიტორიაზე სველი ნერტილის მოწყობაზე.**

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარემ იაკობ გაზდელიანმა - განვიხილეთ თქვენი მოსაზრება ფესტივალის ჩატარებაზე და ძალიან მოგვეწონა იდეა.

დეპუტატებმა მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს საინტერესო მოხსენებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ანგარიშის დადებითად შეფასებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)ი.პ ტურიზმის განვითარების ცენტრის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

9. **მოისმინეს: გაერთიანების დირექტორმა ლამზირა გუგავამ სხომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ა(ა)ი.პირის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2026 წლის გეგმა-პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა ილაპარაკა ავტორიზაციის პროცესზე, არსებულ პრობლემებზე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ცვლილება შედის 2026 წლის ბიუჯეტის გადანაწილების დანართში.**

დაისვა კითხვები. მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას. მოხსენების ბოლოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს აუცილებლად წარმოედგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი - ა(ა)ი.პირის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2026 წლის გეგმა-პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ა(ა)ი.პირის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2026 წლის გეგმა-პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

10. **მოისმინეს: მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა.**

შენიშვნა გეგმასთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დამთავრდა 15 საათსა და 30 წუთზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი